იძულებით გადაადგილებული პირები საქართველოში

იძულებით გადაადგილებულ პირთა დამოკიდებულება კონფლიქტის, დაბრუნებისა და სამართლიანობის მიმართ

კონცეპტუალური ბარათი

აპრილი, 2011 წ.

conciliation resources

იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემები დაკავშირებულია კონფლიქტის მოგვარებასთან. მათი უფლებები და მშობლიურ მხარეში დაბრუნების საკითხები კი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას უდევს საფუძვლად. მიმდინარე კონფლიქტმა და პოლიტიკურმა უწესრიგობამ ყველაზე დიდი ზეგავლენა დევნილთა ადგილობრივ თემებზე მოახდინა. გადაადგილების საკითხი კი ძალზედ პოლიტიზირებულია.

ყველა დონეზე ჩატარებული დისკუსიები გვიჩვენებს შემდეგს: დევნილთა შეხედულებები კონფლიქტთან, დაბრუნებასთან და სამართლიანობის საკითხთან დაკავშირებით უფრო ვარაუდებს ან სტერეოტიპებს ეყრდნობა, ვიდრე ფაქტებს. ზოგ შემთხვევებში, „დევნილთა პრობლემების“ შესახებ დისკუსიები უფრო პოლიტიკური განცხადებების დაფიქსირებისაკენ იყო მიმართული, ვიდრე პრაგმატული ან კონკრეტული გადაწყვეტილებების მოძიებისკენ. წლების განმავლობაში იძულებით გადაადგილებული პირები ცდილობდნენ კონფლიქტის შესახებ საკუთარი შეხედულებები თავადვე გაეჟღერებინათ და სხვების დღის წესრიგში პასიური ობიექტების როლი აღარ შეესრულებინათ. ვითარება იცვლება, რასაც ინტეგრაციის გაუმჯობესებული სტრატეგიაც უნდა უწყობდეს ხელს.

პირველად ჩატარდა ისეთი კვლევა, რომელიც ცდილობს, ნათელი მოჰფინოს დევნილთა შეხედულებებს, გააბათილოს დამკვიდრებული მითები და მიმდინარე დისკუსია ფაქტებზე დააფუძნოს. ის, ასევე, სთავაზობს პოლიტიკოსებს სხვადასხვა დონის მოქმედებების საფუძვლების ჩამოყალიბებას.

პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი თემები

კეთილდღეობასა და ინტეგრაციაზე ყურადღების გამახვილება. დღესდღეობით, ადამიანის უფლებებისა და ღირსების საკითხების მოგვარება უპირატესი მნიშვნელობის მატარებელია და დაბრუნების უფლებას არ ეწინააღმდეგება.

ინტეგრაციასთან, კონფლიქტის მოგვარებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში დევნილთა ჩართულობა და მათ მიერ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლების რეალიზაცია დიდ სარგებელს მოიტანს.

მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს დაბრუნების შესახებ ფართო საზოგადოებრივ დისკუსიას, რომელიც ინფორმაციის სანდო წყაროებზე იქნება დაყრდნობილი. ასევე, აუცილებელია იმის გააზრება, თუ რაოდენ შეიცვალა სიტუაცია აფხაზეთში ბოლო ოცი წლის განმავლობაში.

იძულებით გადაადგილებული პირები მშვიდობის დამყარების პოტენციურ რესურსს წარმოადგენენ და საჭიროა ამ რესურსის უფრო შედეგიანი გამოყენება. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კონფლიქტის მოგვარებას ძალის გამოყენებით, რაც კონფლიქტის ყველა მხარისთვის საყურადღებო შეტყობინება უნდა იყოს. სწორედ დევნილები წარმოადგენენ სასიცოცხლო მნიშვნელობის რესურსს მშვიდობის დამყარების პრაქტიკასა და პოლიტიკაში.

აგრეთვე, გასათვალისწინებელია, რომ წარსულში მომხდარი უსამართლობის აღმოფხვრამ, შესაძლოა, კონფლიქტის მოგვარების პროცესი წინ წაწიოს.

კვლევის მთავარი მიგნებები

იდენტიფიკაცია და ინტეგრაცია

კვლევა გვიჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა შედარებით თავისუფლად გრძნობს თავს ქართულ საზოგადოებაში და თითქმის ნახევარი მათგანი უარყოფს ფართოდ გავრცელებულ დაშვებას, თითქოს დევნილები თავიანთი სტატუსის გამო თავს შევიწროვებულად გრძნობენ. მაგრამ დევნილების ინტეგრაციის თვალსაზრისით ბევრია გამოსასწორებელი. ამასთან ერთად, ნაკლებად ოპტიმისტურია იძულებით გადაადგილებულ პირთა პასუხები საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში საკუთარი ჩართულობის განცდასთან დაკავშირებით.

დევნილებს ამბივალენტური დამოკიდებულება აქვთ საქართველოს საზოგადოების მხრიდან მათი მხარდაჭერის მიმართ: რესპოდენტთა დაახლოებით ნახევარი სრულიად ან ნაწილობრივ ეთანხმება, რომ ქართული საზოგადოება მათ მხარს უჭერს.

ბევრი დევნილი თავს პოლიტიკურად მარგინალიზებულად აღიქვამს: მათგან მხოლოდ მეოთხედი ეთანხმება, რომ მთავრობა მათ პრობლემებს სერიოზულად ეკიდება. მიუხედავად ამისა, იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის აღინიშნება ხელისუფლებისადმი ნდობის მაღალი ხარისხის გამოთქმის ტენდენცია.

გადაადგილება, სოციალურ-ეკონომიკური საკითხები და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

კვლევა ადასტურებს, რომ იძულებით გადაადგილებიდან თითქმის 20 წლის შემდეგ კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები დევნილების დიდი უმრავლესობა ისევ სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგას: გამოკითხვის თანახმად, ყველაზე დიდ

წარმოდგენილი კონცეპტუალური ბარათი ეყრდნობა 2010 წლის ივნისში ჩატარებულ კვლევას, რომელიც 1992-93 წლების ომის შემდეგ კოლექტიური განსახლების ცენტრებში მცხოვრებ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ათას ადამიანს მოიცავდა. კვლევამ იძულებით გადაადგილებასთან, დაბრუნებასთან, კონფლიქტის მოგვარებასთან და სამართლიანობასთან დაკავშირებით დევნილთა დამოკიდებულებებს ნათელი მოჰფინა.

კვლევა განხორციელდა „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრისა“ (CRRC) და „შერიგების რესურსების“ (CR) მიერ, ფინანსურ დახმარებას უზრუნველყოფდა „ევროკომისიის სტაბილურობის ინსტრუმენტი“. კვლევის შედეგების ნახვა, დეტალურ ანალიზთან და სხვა მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასთან ერთად, შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: www.c-r.org/our-work/caucasus/displacement_in_georgia.php დამატებითი ინფორმაციისათვის ამ კვლევისა და კავკასიაში ჩვენი საქმიანობის შესახებ, გთხოვთ, დაუკავშირდეთ რეიჩელ ქლოგს მისამართზე: rclogg@c-r.org

პრობლემებს წარმოადგენდა საცხოვრებელი ფართის ხარისხი (51%-მა გამოთქვა აშკარა უკმაყოფილება, მხოლოდ 11% არის სრულიად კმაყოფილი) და სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობა (უდიდესი უმრავლესობა - 68% - უკმაყოფილოა და მხოლოდ 18% აღნიშნავს, რომ მუშაობს. ამ რიცხვებში ის დევნილებიც იგულისხმება, ვინც არაოფიციალურად ან ნახევარ განაკვეთზე მუშაობს).

 დევნილთა დაბრუნება დღეისათვის რომ იყოს დაგეგმილი, უმრავლესობისათვის მათ ყოფილ სახლებში დაბრუნება ან შეუძლებელი, ან დიდი წინააღმდეგობებით სავსე იქნებოდა (75-85%-სათვის). დევნილთა დაახლოებით 50% ვერ შეძლებს თავიანთ სახლებში დაბრუნებას, რადგანაც ის განადგურებულია. დევნილების 25-35%-ს წარმოექმნება საკუთარ სახლებში ამჟამინდელ მცხოვრებლებთან ურთიერთობის გარკვევის პრობლემები, ხოლო 62%-ს არ აქვს საკუთრების დამადასტურებელი არანაირი ოფიციალური საბუთი.

ბევრს საუბრობენ დევნილებსა და აფხაზებს შორის დადებულ „კერძო საკუთრებასთან დაკავშირებულ არაოფიციალურ გარიგებებზე“, განსაკუთრებით 2008 წლის შემდეგ. ზოგადად, გამოკითხულთა უმრავლესობას არ მოსწონს გაყიდვისა თუ გაქირავების ასეთი ფორმები. მაგრამ გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები გარკვეულწილად ვერ ასახავს რეალურ სიტუაციას, ანუ იმას, ნამდვილად ხდება თუ არა ასეთი გარიგებები. ეს ან არ წარმოადგენს ტიპიურ ტენდენციას, ან რესპოდენტებს არ სურთ ამ საკითხის განხილვა, რადგანაც იგი სოციალურად და პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხია, თანაც არსებობს სამართლებრივი შეზღუდვები.

კვლევის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირთა აბსოლუტურ უმრავლესობას (93%) აფხაზეთში ამჟამად მიმდინარე მოვლენები ძალზედ ან საკმაოდ აინტერესებს. 25%-ის აზრით, აფხაზეთში არსებული ვითარების შესახებ მათი ცოდნა საშუალო დონისაა; 42%-ს ეს მაჩვენებელი საშუალოდან ნულამდე დაჰყავს. მხოლოდ 7%-მა იცის ბევრი.

რესპოდენტთა 70%-ისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს ქართული ტელევიზია წარმოადგენს. ამის მიზეზი, ნაწილობრივ, ქვეყანაში ბეჭდვითი მედიის არათანაბარი გავრცელებაა. მხოლოდ 2%–თვის არის ინტერნეტი ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო. ეს გამაოგნებელი ციფრია, თუ გავითვალისწინებთ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის გარკვეულ ფენაში ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვის მკვეთრ ზრდას. მოულოდნელი აღმოჩნდა ისიც, რომ დევნილთა საკმაოდ მცირე რაოდენობა ინფორმაციის მოსაპოვებლად პირად წყაროს იყენებს. ეს ყოველივე ხაზს უსვამს, თუ რამდენად მძაფრია გაუცხოება და შედარებით იშვიათია კონფლიტურ მხარეებს შორის რეგულარული კონტაქტი.



დაბრუნება

გამოკითხვამ აჩვენა, რომ კოლექტიური განსახლების ცენტრებში მცხოვრებთა მეოთხედმა იძულებით გადაადგილების შემდეგ აფხაზეთის მონახულება მოახერხა. ასეთი ვიზიტების უმრავლესობა ეთნიკური ქართველებით დასახლებულ გალის რაიონში განხორციელდა: გამოკითხულთა შორის გალიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა 64% -მა იქ ჩასვლა შესძლო.

რესპოდენტების 85%-თვის აფხაზეთში რეგულარულად ჩასვლის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი ფაქტორია. უმრავლესობამ აღნიშნა – თუკი სამუდამოდ ვერ მოახერხებენ აფხაზეთში დაბრუნებას, იქ პერიოდულად ჩასვლის ყველაზე აქტუალური მიზეზებია სახლის მოვლა (58%) და საფლავების (55%) მონახულება. იმ დევნილთა უმრავლესობა, ვინც აფხაზეთში ჩადის, ამას ოჯახისა და მეგობრების მონახულების, ან ქორწილებსა და გასვენებებზე დასწრების მიზნით აკეთებს.

გამოკითხულთა ყურადღება კონცენტრირებულია დაბრუნებაზე და ხშირად ვერ აცნობიერებენ, თუ რამდენადაა შეცვლილი აფხაზეთი. გარდა ამისა, ნაკლებად აანალიზებენ იმას, თუ რა პირობებში არის შესაძლებელი დაბრუნების განხორციელება. კვლევის ერთ–ერთი მიზანი იყო, დაედგინა, დევნილების რა ნაწილი განიხილავს აფხაზეთში დაბრუნებას სამომავლო პერსპექტივაში და რა პირობებში.

გამოკითხულთა თითქმის 85% მზად არის, განიხილოს აფხაზეთში დაბრუნების შესაძლებლობა, თუკი საქართველო აღადგენს კონტროლს აფხაზეთზე. 87%-მა განაცხადა, რომ ისინი მაშინ განიხილავენ აფხაზეთში სამუდამოდ დაბრუნების საკითხს, თუკი მოხდება აფხაზეთის საქართველოსთან რეინტეგრაცია; მხოლოდ 9% განიხილავს აფხაზეთში დაბრუნების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთი საქართველოს კონტროლს მიღმა დარჩება.

ამ ციფრებიდან გამომდინარე, დევნილთა ვარაუდი, თუ როდის და დროის რა ჩარჩოებში შეიძლება მოხდეს აფხაზეთის რეინტეგრირება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ინდიკატორს იმისა, თუ რამდენად რეალურად მიაჩნიათ მათ დაბრუნების ფაქტი. 26% -ს სჯერა, რომ აფხაზეთის რეინტეგრაცია მოხდება შემდეგი 10 წლის განმავლობაში; 11%-ის აზრით, ამ პროცესს მნიშვნელოვნად მეტი დრო დასჭირდება; 14%-ის აზრით, აფხაზეთის რეინტეგრაცია საქართველოს შემადგენლობაში არასდროს მოხდება. 49%-მა ვერ შეძლო პასუხის გაცემა (პასუხი იყო „არ ვიცი“). თითქმის ორ მესამედს მიაჩნია, რომ 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ ნაკლებია იმის შანსი, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი გახდება (მთელი საქართველოს მასშტაბით ასე გამოკითხულთა 39% ფიქრობს).

17 %-მა განაცხადა, რომ მათ მიიღეს მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში. 41 %-მა თქვა, რომ ბრძოლებში მათი ოჯახის წევრები მონაწილეობდნენ. ამ ადამიანების უმრავლესობას, დიდი ალბათობით, შეექმნება პრობლემები მათი დაბრუნების უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით, როდესაც/თუკი ეს შესაძლებელი გახდება.

კონფლიქტის გადაწყვეტა

გავრცელებული აზრის საპირისპიროდ, იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა მტრულად განწყობილ ჯგუფს არ წარმოადგენს: გამოკითხულთა 59 %-ს მიაჩნია, რომ კონფლიქტი ძალისმიერი მეთოდებით ვერ გადაწყდება. თუმცა, მათი მეოთხედი არ გამორიცხავს სამხედრო გზასაც:

გამოკითხულ დევნილთა უმრავლესობა ვერ ხედავს, რომ კონფლიქტის მართვა ადგილობრივ დონეზეა შესაძლებელი. გამოკითხულთა 59% მეტ-ნაკლებად ეთანხმება იმ განცხადებას, რომ ამჟამად კონფლიქტი ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის კი არ არის, არამედ რუსეთისა და დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს შორისაა; ასევე, აბსოლუტური უმრავლესობა (85%) ემხრობა შემდეგს: „დღესდღეობით კონფლიქტი ქართულ და აფხაზურ

კითხვა 54 როდის დაბრუნდება აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში? (%)



მხარეებს შორის კი არ მიმდინარეობს, არამედ საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის“.

ამასთან, პარადოქსია, მაგრამ უმრავლესობა მხარს დაუჭერდა თბილისისა და სოხუმის მიერ კონფლიქტის გადაწყვეტისაკენ მიმართული ორმხრივი ქმედებების განხორციელებას. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა პრაგმატულად უდგება კონფლიქტის პრაქტიკულ გადაჭრას თბილისსა და სოხუმს შორის. 72% შერიგების პროცესებში სამოქალაქო საზოგადოებისათვის უფრო დიდი როლის მინიჭებას უჭერს მხარს; 59% მხარს უჭერს ძალის გამოუყენებლობის ხელშეკრულების ხელმოწერას აფხაზურ მხარესთან და 58% -თვის მისაღებია დე ფაქტო აფხაზეთის მთავრობასთან აფხაზეთის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება (გამოკითხულთა შედარებით მცირე ნაწილი მხარს უჭერს ასეთივე ზომებს რუსეთთან).

კითხვა 63 დაუჭერდით თუ არა მხარს, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ გადადგას შემდეგი ნაბიჯები კონფლიქტის მოგვარების მიზნით (%) (მოწოდებულია დადებითი პასუხები).



ა. ხელი შეუწყოს უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების - როგორც ქართველების, ასევე აფხაზების - ძიების პროცესს

ბ. მეტად ჩართოს სამოქალაქო საზოგადოება კონფლიქტის მოგვარების პროცესში

გ. ხელი მოაწეროს შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ აფხაზეთთან

დ. დაიწყოს მოლაპარაკება აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობასთან

ე. ხელი მოაწეროს შეთანხმებას ძალის გამოუყენებლობის შესახებ რუსეთთან

ვ. დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთთან აფხაზეთის სტატუსის შესახებ

ზ. ოფიციალური ბოდიში მოუხადოს აფხაზ ხალხს საქართველოს მთავრობის ყველა უსამართლო ქმედებისათვის

თ. დაიწყოს სამხედრო ოპერაცია აფხაზეთში

ი. აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა

თუკი განახლდებოდა პირდაპირი მოლაპარაკებები დე ფაქტო მთავრობასთან, გამოკითხულთა მხოლოდ მეოთხედისათვის იქნებოდა პრიორიტეტი სტატუსთან დაკავშირებული დისკუსიები. იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა აქცენტს გააკეთებდა დაბრუნების საკითხებზე (83%); თითქმის ნახევარი მათგანი იმსჯელებდა უსაფრთხოებისა და ცეცხლის შეწყვეტის ხაზის საკითხებზე. ყველაზე დაბალი პროცენტი მიიღო ქართველების შეუზღუდავმა გადაადგილების საკითხმა აფხაზეთის ტერიტორიაზე (24%). ქართველებსა და აფხაზებს შორის ვაჭრობის განვითარების საკითხმა მხოლოდ 5% მიიღო; ეს დამაფიქრებელია, თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ, ზოგადად, ვაჭრობა კონფლიქტის მხარეებს შორის კონტაქტების დამყარების მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნევა.

დევნილთა შორის ჩატარებული წინამდებარე კვლევის მონაცემები გვიჩვენებს, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის დამოკიდებულება არც ისე უპრობლემოა, როგორც ამას ხშირად საჯაროდ აცხადებენ თვითონ დევნილები. მათ, ზოგადად, თავისი დამოკიდებულება აფხაზების მიმართ მეგობრულად მიაჩნიათ, მაგრამ ეს შედარებით მეგობრული გარეთ მიმართული პროექცია არ ემთხვევა დევნილთა მიერ მათდამი აფხაზების დამოკიდებულების აღქმას: მხოლოდ ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ აფხაზები ასევე მეგობრულად არიან განწყობილები სხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

სამართლიანობა

დევნილთა შორის არსებობს მოთხოვნა სამართლიანობასთან დაკავშირებით კონფლიქტთან მიმართებაში. საინტერესოა, რომ უმრავლესობის აზრით, კონფლიქტის მოგვარების მიზნით, წარსულში მომხდარ უსამართლო შემთხვევებზე საჭიროა პასუხის გაცემა; გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მესამედი მიიჩნევს, რომ მომხდარი უსამართლობა დავიწყებულ უნდა იქნას.

ისეთმა იურიდიულმა მექანიზმებმა, როგორებიცაა ომის დროს ჩადენილი დანაშაულის ოფიციალური გამოძიება და სასამართლოს წესით დასჯა, შედარებით მაღალი მაჩვენებლები მოგვცა. 78%-ის აზრით, ომის დროს ჩადენილი დანაშაულის გამოძიება საჭიროა. 55%-ისთვის მათი დასჯა, ვისაც ომის დროს ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალი მიუძღვის, ძალზედ ან ნაწილობრივ მნიშვნელოვანია, რათა იგრძნონ, რომ მომხდარ უსამართლობას პასუხი გაეცა.

გადაადგილებული პირები მიესალმებიან სიმბოლურ და ფინანსურ რეპარაციებს. კონფლიქტის მსხვერპლთათვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, რესპოდენტთა თითქმის სამი მეოთხედი მხარს უჭერს ფინანსურ კომპენსაციას. ომის მსხვერპლთა ფინანსურ ანაზღაურებაზე პასუხიმგებლად რესპოდენტთა 39%-მა საქართველოს ხელისუფლება დაასახელა, ხოლო 23%–მა – რუსეთის მთავრობა. ამავდროულად, რესპოდენტების 50% აფხაზეთის დე ფაქტო ხელისფლების მხრიდან პატიების თხოვნას ქართველი დევნილებისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმისათვის, რომ მათ ჰქონდეთ წარსული უსამართლობის გამოსწორების შეგრძნება.

კითხვა 65.2 კონფლიქტის მოგვარების მიზნით, ჩვენ უნდა . . . (%)



ზოგიერთი რეკომენდაცია პოლიტიკური გადაწყვეტილებებისათვის

1. მეტი ყურადღება კეთილდღეობასა და ინტეგრაციაზე

იძულებით გადაადგილებულ პირთა ამჟამინდელი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე ყურადღების გამახვილება უპირატესი მნიშვნელობისაა. როგორც ჩანს, დევნილები მშობლიურ მხარეში დაბრუნებას ახლო მომავალში ვერ მოახერხებენ და ამის იმედი არც აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებში პროგრესი შეინიშნება, კვლევის თანახმად, მოუგვარებელი პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს. არსებობს როგორც ადამიანის უფლებებისა და ღირსების, ასევე საარსებო წყაროსა და პოლიტიკურ ჩართულობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთა მოგვარებაც დღესდღეობითაა შესაძლებელი.

დევნილთა კეთილდღეობისათვის საჭირო პირობების გაუმჯობესება და ინტეგრაციის ხელშეწყობა წინააღმდეგობაში არ მოდის არც სამშობლოში დაბრუნების უფლებასა და არც ამ საკითხის პრიორიტეტულ მნიშვნელობასთან. ინტეგრაციის სარგებლიანობის შესახებ საზოგადოებრივი დებატები აღნიშნულ პროცესს უფრო დაეხმარებოდა. ნიმუშად სხვა ქვეყნებში შექმნილი პოსტკონფლიქტური ვითარება გამოგვადგება. მაგალითად, კვიპროსის შემთხვევაში დაკვირვების შედეგად გამოვლინდა შემდეგი: საზოგადოებიდან გარიყულობის განცდის მქონე პირებთან შედარებით, ის დევნილები, რომლებიც ჩართულები იყვნენ საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესში, უფრო მომზადებულნი აღმოჩნდნენ დაბრუნებისთვის. მათ ჰქონდათ საკმარისი უნარი და თავდაჯერებულობა იმასთან დაკავშირებით, რომ იმ საზოგადოებაში, რომელშიც ბრუნდებოდნენ, საკუთარი წვლილის შეტანას შეძლებდნენ.

2. იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საკუთარი აზრის გამოხატვის უფლების რეალიზება

ინტეგრაციასთან, კონფლიქტის მოგვარებასთან და კეთილდღეობისათვის საჭირო სხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში დევნილთა უფრო აქტიური ჩართვა მათ პოლიტიკურ მარგინალიზაციასა და იმის შეგრძნებას გააქარწყლებდა, რომ მათი სატკივარი არასერიოზულად განიხილება. შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა და დევნილთა საზოგადოებას შორის შესაძლებელია თანამშრომლობის გაცილებით ძლიერი მექანიზმების შექმნა, რათა შედეგად ინფორმაციის უფრო გამჭვირვალე და რეგულარული გაცვლა მივიღოთ.

თუ დევნილებს აზრის გამოხატვის მეტი საშუალება მიეცემათ, ამჟამინდელი ვითარებისა და საკუთარი მომავლის კონტროლის შეგრძნება გაუჩდებათ. ეს ყოველივე კი, როგორც კონფლიქტის მოგვარებასა და დაბრუნების პერსპექტივას, ასევე მათ ამჟამინდელ ძირითად საჭიროებებს უკავშირდება. მაგალითად, საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ვითარება უფრო დამშვიდდება, თუ ადგილებზე დევნილებს განსახლებისა და საცხოვრებელი პირობების შესახებ საკითხების მოგვარებაში ჩართვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საკუთარი წვლილის შეტანის საშუალება მიეცემათ.

დევნილთა მონაწილეობით მიღებული გადაწყვეტილებები ისეთ საკითხებთან იქნებოდა დაკავშირებული, რომლებიც დევნილთათვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. მაგალითად, სოციალური უსაფრთხოების პირობების შექმნა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება იმ ადგილებში, სადაც დევნილები დაფუძნდნენ.

3. ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა და დაბრუნების თაობაზე ფართო საზოგადოებრივი დისკუსია

იმისათვის, რომ კონფლიქტის საბოლოო მოგვარებას საფუძველი ჩაეყაროს, აუცილებელია, დაბრუნების შესახებ დებატებში იძულებით გადაადგილებული პირები და საქართველოს ფართო საზოგადოებაც ჩაერთონ. არსებული ვითარება მოკლე ვადაში დაბრუნებას ხელს არ უწყობს. კვლევა გვიჩვენებს, რომ ამის განხორციელება დღესვე რომ იყოს შესაძლებელი, ბევრ პრაქტიკულ შეზღუდვას ექნებოდა ადგილი.

გასათვალისწინებელია, რომ სერიოზულად მცირეა იმ უძრავი ქონების რაოდენობა, სადაც დევნილები, დაბრუნების შემთხვევაში შეძლებენ ცხოვრებას. ასევე, დევნილთა შორის დიდია ყოფილი მეომრების რაოდენობა. გარდა ამისა, გამოკითხულ დევნილთა აზრით, აფხაზები სხვა ეთნიკური ჯგუფებისადმი კეთილგანწყობით არ გამოირჩევიან. დაბრუნების პერსპექტივების განხილვისას, აუცილებელია აღნიშნული საკითხებისა და მათი

„საჭიროა ვისაუბროთ ქართველებისა და აფხაზების უფლებებზე. თავდაპირველად აუცილებელია გავიაზროთ, თუ როგორ ვაპირებთ იქ ცხოვრებას. სხვა შემთხვევაში, აფხაზებთან ურთიერთობას ვერ დავალაგებთ“.

კითხვა 61 დღეს როგორ ფიქრობთ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი შეიძლება მოგვარდეს: შეიარაღებული ძალის გამოყენებით; შეიარაღებული ძალის გამოყენებით მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში; თუ ვერ მოგვარდება შეიარაღებული ძალის გამოყენებით? (%)



პრაქტიკაში განხორციელების გზების გათვალისწინება. ეს საკითხები, აგრეთვე, საჭიროა, აისახოს კონკრეტული სტრატეგიის ფორმულირებისას.

იმისათვის, რომ დაბრუნების საკითხებთან დაკავშირებული დებატები კონსტრუქციული გზით ჩამოყალიბდეს, მნიშვნელოვანია, არსებობდეს ინფორმაციის სანდო წყარო აფხაზეთში ამჟამად არსებული ვითარების შესახებ. ადგილი, რომლის დატოვებაც დევნილებს თითქმის 20 წლის წინ მოუხდათ, ამ ხნის მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა. ქართველებსა და აფხაზებს შორის პირდაპირი ურთიერთობების აღდგენა (როგორც გამყოფ ხაზებთან, ისე საზოგადოებებში) მნიშვენლოვანია ურთიერთგაგების, სტერეოტიპების ეჭვქვეშ დაყენებისა და, არსებული რეალობის ასახვით, დისკუსიების წამოწყებისთვის. კონფლიქტის მოგვარებისთვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად, ასევე, საჭიროა ისეთი ინფორმაციის გავრცელება (რასაც მიმდინარე კვლევის შედეგებიც ემსახურება), რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა ამჟამინდელ შეხედულებებს ასახავს.

4. მშვიდობის დამყარების რესურსად იძულებით გადაადგილებულ პირთა პოტენციალის გამოყენება

არსებობს საჭიროება იმისა, რომ დევნილთა შეხედულებები კონფლიქტის მოგვარების შესახებ აღიარებულ და გათვალიწინებულ იქნას. განსაკუთრებით საყურადღებოა მათში ფართოდ გავრცელებული დამოკიდებულება ძალის გამოუყენებლობასთან დაკავშირებით. თუ დევნილთა საზოგადოება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას ემხრობა - მიუხედავად იმისა, რომ მათ უკმაყოფილობის ყველა საფუძველი აქვთ - ეს უკვე სერიოზული სიგნალია სამშვიდობო პროცესებში მათი ჩართულობისათვის.

რესპოდენტებმა როგორც პოლიტიკურ, ასევე საზოგადოებრივ დონეზე ინტერესი გამოთქვეს თბილისსა და სოხუმს შორის ორმხრივი ურთიერთობის მიმართ. მიუხედავად იმისა, უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ კონფლიქტი დღეს ადგილობრივ დონეზე არ იმართება, ისიც გააზრებულია, თუ რამდენად აუცილებელია ქართულ-აფხაზურ დონეზე მუშაობა. ამასთან ერთად, ფიქსირდებოდა სურვილი, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებას შერიგების პროცესში გაცილებით დიდი როლი ეთამაშა; აგრეთვე, მნიშვნელობა მიენიჭა ქართველებსა და აფხაზებს შორის პირად კონტაქტებს.

5. სამართლიანობაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება

რესპოდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაინტერესდა წარსულში მომხდარი უსამართლობის აღმოფხვრის პროცესით. აღნიშნული პროცესის დაწყებას და მასში კონფლიქტის ყველა მხარის ჩართვას აქვს პოტენციალი, შეეხოს კონფლიქტის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს და წარმოაჩინოს წინსვლის ახალი შესაძლებლობები. საჯარო დისკუსიის დაწყება ამ პროცესის სარგებლიანობასა თუ რისკებზე, აგრეთვე, გარკვეულ კონტექტსტში მიდგომების განხორციელების გზებზე, პროცესისთვის მნიშვნელოვანი დასაწყისი იქნებოდა.

არსებობს მთელი რიგი პრაქტიკული შუალედური ეტაპები, რომელთა განხორციელებაც ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოგვარების არქონის პირობებშიც კი შესაძლებელია. გამყოფი ხაზებით დაშორიშორებული დაინტერესებული ადამიანების შეხვედრები და დევნილთათვის თუნდაც ნათესავების საფლავების მონახულების შესაძლებლობის უზრუნველყოფა მათ გადაუდებელ საჭიროებებს დააკმაყოფილებდა, ურთიერთობებს დაამყარებდა და ინფორმაციის გაცვლის საშუალებას გაზრდიდა.

ვიდრე აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა პოლიტიკური დღის წესრიგში მოხვდება, შესაძლებელია დაიწყოს რესტიტუციასთან დაკავშირებული მოსამზადებელი სამუშაოები. მნიშვნელოვანია არაფორმალური საკითხების მოგვარებასთან, მაგ.: „ქონების მართვის შესახებ ფარულ გარიგებებთან“ დაკავშირებით უფრო გახსნილი დებატების წამოწყება. აგრეთვე, შესაძლებელია მსოფლიოში არსებული იძულებით გადაადგილების ფაქტების შედეგად რესტიტუციის საკითხებთან დაკავშირებული გამოცდილების გაცნობა და გამოყენება.

„შერიგების რესურსები“ წარმოადგენს მშვიდობის განმტკიცების საკითხებზე მომუშავე დამოუკიდებელ საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელსაც ძალისმიერი კონფლიქტების პრევენციისა და გადაწყვეტის სფეროში მუშაობის თხუთმეტწლიანი გამოცდილება გააჩნია. ორგანიზაციის პრაქტიკული და პოლიტიკის კონცეფციების შემუშავებაზე მიმართული საქმიანობა ეფუძნება იმ ხალხის გამოცდილებას, რომლებიც ომის შედეგად დაზარალებულ ან ომის საფრთხის ქვეშ მყოფ ქვეყნებში ცხოვრობენ. ჩვენ ვთანამშრომლობთ ჩვენს პარტნიორებთან კავკასიაში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში, დასავლეთ აფრიკაში, ქაშმირში, კოლუმბიაში, ფილიპინებსა და ფიჯის კუნძულებზე.
ამ პუბლიკაციის შექმნა შესაძლებელი გახდა ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს მთავრობის „კონფლიქტების მოგვარების ფონდის“ და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს დიდსულოვანი დახმარების შედეგად.

conciliation resources

173 Upper Street, ლონდონი N1 1RG, გაერთიანებული სამეფო
ტელ: +44 (0) 20 7359 7728 | ფაქსი: +44 (0) 20 7359 4081
ელ. ფოსტა: cr@c-r.org | ვებ გვერდი: www.c-r.org

„შერიგების რესურსები“ გაერთიანებულ სამეფოში დარეგისტრირებულია როგორც საქველმოქმედო ორგანიზაცია (1055436). ©2011

ფოტოები: დათო მესხი